პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

სტრატეგიული ხედვა 2031 წლისთვის

აპრილი 2024

საქართველო

სარჩევი

შესავალი 3
1. სტრატეგიული ხედვა 2029-2031 წლებისთვის 4
2. თსა-ს ხედვა პრიორიტეტული სფეროების მიმართულებით 9

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) სტრატეგიულ ხედვას** 2028 წლის სექტემბრიდან 2031 წლის აგვისტომდე პერიოდისათვის.

2021 წელს, მიუხედავად წარმატებით მოპოვებული მრავალწლიანი ავტორიზაციის და აკრედიტაციისა, **თსა-მ გადაწყვიტა შეეფასებინა საკუთარი საქმიანობა და გადაეხედა 2018-2024 სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფექტური**, შედეგზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით, რის შედეგადაც შემუშავდა სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2028 წლებისთვის. 2024 წლის მარტში, ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში, აღნიშნული სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2028 წ), 2021-2024 წლების სამწლიან სამოქმედო გეგმასთან ერთად წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (NCEQE). ცენტრის მოთხოვნის საფუძველზე შემუშავებული სტრატეგიული განვითარების ხედვა 2029-2031 წლებისთვის განავრცობს 2021-2028 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარმოაჩენს თსა-ს ხედვას პრიორიტეტული მიმართულებების შემდგომი განვითარების და გაუმჯობესების მხრივ 2031 წლისთვის.

თსა გეგმავს 2021-2028 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვას 2024 წლის შუა პერიოდისათვის, რათა შეაფასოს არსებული მიღწევები და დააჩქაროს შემდგომი განვითარება 2031 წლის ხედვის შესაბამისად ყველაზე ეფექტური გზით.

თსა-ს მისია

თსა-ს ინსტიტუციური ხედვის **მთავარ საფუძველს წარმოადგენს აკადემიის მისია.**

თსა-ს მისია

თსა, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ინოვაციური მიდგომით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებით უზრუნველყოფს ეროვნული და საერთაშორისო ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიონალების მომზადებას. ამავდროულად, კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებით წვლილი შეაქვს საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.

თსა-ს ღირებულებები

<u>თსა სიღრმისეულად იზიარებს შემდეგ ღირებულებებს:</u> ინსტიტუციური მთლიანობა, ნდობა და პატივისცემა; კვლევა და აკადემიური წარჩინებულობა; ინოვაცია და კრეატიულობა; ეთიკა და აკადემიური კეთილსინდისიერება, გამოხატვის თავისუფლება, სოციალური პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე; და მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის ხელშეწყობა.

თსა-ს ხედვა <u>2031 წლისათვის.</u>

თსა მიზნად ისახავს გახდეს გლობალურად აღიარებული სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელიც განასახიერებს ქართული და ევროპული უმაღლესი განათლების პრინციპებს. თსა-ს ხედვაა წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში ინოვაციური კვლევის, მაღალი ხარისხის განათლების, სასარგებლო და მნიშვნელოვანი გავლენის მქონე სოციალური ინიციატივებისა და სამაგალითო ინსტიტუციური სოციალური პასუხისმგებლობის მეშვეობით. თსა ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას, აკადემიური პროცესების უმაღლეს ხარისხს და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, ამასთან წვლილს შეიტანს ჯანდაცვის მწვავე გამოწვევების გადაჭრაში კვლევის მეშვეობით.

1. სტრატეგიული ხედვა 2029-2031 წლებისთვის

1.1 თსა-ს სტრატეგიული ხედვა უპირველეს ყოვლისა მოიცავს სწრაფვას, განაგრძოს განვითარება და ჩამოყალიბდეს გლობალურად აღიარებულ უნივერსიტეტად, რომელიც განასახიერებს როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო უმაღლესი განათლების პრინციპებს.

როგორც ქართული სამედიცინო უნივერსიტეტი, თსა მიზნად ისახავს განაგრძოს და გააძლიეროს საკუთარი ძირითადი საქმიანობა, რათა უზრუნველყოს როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო სტუდენტებისათვის საუკეთესო სამედიცინო განათლების მიწოდება. თსა-ს ინტერნაციონალიზაციის პროცესი ორიენტირებულია არსებული უნიკალური შესაძლებლობების გამოყენებაზე ქართული საზოგადოებისა და მისი ახალგაზრდობის სასარგებლოდ, რათა ხელი შეუწყოს შემდგომ ინტეგრაციას საერთაშორისო ასპარეზზე და დააჩქაროს თსა-ს ჩამოყალიბება ინსტიტუციად რომელიც სტუდენტებს შესთავაზებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სასწავლო და კვლევით შესაძლებლობებს. ამგვარად, თსა თავის მხრივ ხელს შეუწყობს არსებული საერთაშორისო შესაძლებლობების მიმართ როგორც საკუთარი თავსებადობის, ასევე კურსდამთავრებულთა ხელმისაწვდომობის გაზრდას.

თსა-ს ხედვა 2031 წლისათვის მოიაზრებს აკადემიას, როგორც მუდმივად განვითარებადი საერთაშორისო განათლების სფეროს სრულფასოვან ნაწილს და საერთაშორისო კვლევების სფეროში მის აქტიურ მონაწილეობას-ინტეგრაციას.

1.2 განათლების სფეროს ახალი მზარდი გამოწვევები და ახალი შესაძლებლობები მომავალი საზოგადოების განვითარებისთვის.

მუდმივი სირთულეების და მზარდი ინოვაციების პერიოდში, 2031 წლისათვის საგანმანათლებლო არენა სიღრმისეულად შეიცვლის სახეს უკვე მზარდი ფაქტორებისა და ამ ეტაპისთვის უცნობი გამოწვევების გავლენით. პასუხად, თსა მიზნად ისახავს დაიმკვიდროს ადგილი აკადემიურ საზოგადოებაში, როგორც ერთ-ერთმა მდგრადმა დაწესებულებამ.
წამოჭრილი გამოწვევების წარმატებით გადაჭრის მიზნით, თსა ყურადღებას გაამახვილებს ინოვაციური სწავლებისა და კვლევის შემდგომ განვითარებაზე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად დადებით გავლენას მოახდენს საზოგადოების ჯანმრთელობაზე, განვითარებასა და კეთილდღეობაზე.

თანამედროვე შესაძლებლობებს, კონკრეტულად კი ციფრული გადაწყვეტილებების და ხელოვნური ინტელექტის (AI) სამედიცინო განათლებასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკულ აქტივობებში ინტეგრაციამ შესაძლოა პოტენციურად რევოლუციური როლი შეასრულოს სასწავლო მეთოდების განვითარებაში, გააძლიეროს კლინიკური გადაწყვეტილების მიღების უნარები და გააუმჯობესოს მოსახლეობის ჯანმრთელობა. თუმცა აქვე ყურადღება უნდა დაეთმოს ამ ინსტრუმენტების გამოყენების ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა მონაცემთა დაცვა, ალგორითმის ცდომილება და ეთიკური მოსაზრებები, რათა თავის მხრივ უზრუნველყოფილი იყოს ჯანდაცვის განათლებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის (AI) პასუხისმგებლობით აღსავსე და მიუკერძოებელი დანერგვა.

თსა, როგორც პროგრესული და მოწინავე უნივერსიტეტი, მიზნად ისახავს პროაქტიული ქმედებების მეშვეობით გაითავისოს, მოძებნოს და ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებების დანერგვას როგორც საზოგადოებასთან, ასევე საერთო ღირებულებების მატარებელ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის გზით, განსაკუთრებით კლინიკურ გარემოში, სადაც სამომავლოდ დასაქმდებიან თსა-ს კურსდამთავრებულები და იმუშავებენ ინტერდისციპლინურ გუნდში.

აკადემიის საგანმანათლებლო პროცესების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მუდმივი ვალდებულება, საერთაშორისო პარტნიორობების სიღრმისეული და ყოვლისმომცველი გაფართოება და მათი დივერსიფიცირება კი თსა-ს

საშუალებას მისცემს გაუმკლავდეს გამოწვევებს და გამოიყენოს მათთან დაკავშირებული შესაძლებლობები.

2031 წლისათვის, ინოვაციური სწავლება და ახალი ტექნოლოგიების გააზრებული ინტეგრაცია იქნება თსა-ს მიდგომის მთავარი ამოსავალი წერტილი აკადემიური სრულყოფის მიღწევისათვის, რათა თავის მხრივ უზრუნველყოფილი იყოს ჯანდაცვის ინტერვენციების დანერგვით და კვლევის მეშვეობით საზოგადოებისათვის მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდება.

1.3 სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოზე დაფუძნებული აკადემიური სრულყოფილება

თსა-ში აკადემიური სრულყოფილების მამოძრავებელ ძალას ინტეგრირებული მიდგომა წარმოადგენს.
უპირველეს ყოვლისა, თსა-ში სწავლა მიმდინარეობს მუდმივი და სტრუქტურირებული სახით ინტელექტუალური ფუნქციონირების უმაღლეს დონეზე სტიმულირების რეჟიმში. ამ პროცესს წარმართავს სამედიცინო განათლებაში კურიკულუმის ინოვაციების დეპარტამენტი - CIMED (Curriculum Innovations in Medical Education Department). ამგვარად, თსა უზრუნველყოფს საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამების თანმიმდევრულ განვითარებას და განვრცობას.

მეორეც, თსა სტაბილურად და სრულფასოვნად ნერგავს ბიო-ფსიქო-სოციალურ მიდგომას მედიცინის პროგრამის კურიკულუმში. ამგვარი ჰოლისტური ჩარჩოს დანერგვა კი უზრუნველყოფს მომავალი ჯანდაცვის პროფესიონალების მზაობას პაციენტების კომპლექსურ საჭიროებებთან გასამკლავებლად და ხელს უწყობს ჯანმრთელობის შედეგებისა და ჯანდაცვის სერვისების მიწოდების სისტემების გაუმჯობესებას.

მესამეც, თსა მაქსიმალურად მხარს უჭერს ინიციატივების განხორციელებას ცნობიერების ამაღლების, შესაძლებლობების გაძლიერების და კონსულტაციების მიმართულებებით, რითაც ხელს უწყობს სტუდენტებს შორის საკუთარ თავზე ზრუნვის და კეთილდღეობისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას, აძლიერებს მათ კომპეტენციებს თვითშემეცნების და თვითრეგულირების მხრივ და უზრუნველყოფს მათ შემდგომ კარიერულ მხარდაჭერას. სტუდენტებისაგან მიღებული უკუკავშირი განიხილება სტუდენტური ცხოვრების ორგანიზების, სტუდენტური გარემოს, სასწავლო პროცესების და თსა-ს ინფრასტრუქტურული განვითარების დაგეგმვის თითოეულ ეტაპზე.
თსა-ს ამბულატორიული კლინიკის განვითარება, ბუნებრივია, შექმნის მეტ შესაძლებლობას კლინიკურ გარემოში სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიების დანერგვისათვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტუდენტების მჭიდრო ინტერაქციას ქართველ თანატოლებთან, სამედიცინო პერსონალთან და პაციენტებთან.

თსა-ს სამომავლო გეზი ითვალისწინებს პროფესიათშორისი და ცხოვრების მანძილზე უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების შეთავაზებას, რაც თავის მხრივ გადამწყვეტ ქმედებას წარმოადგენს ჯანდაცვის პროფესიონალების უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერისათვის.

2031 წლისათვის თსა მიზნად ისახავს გააძლიეროს ჯანდაცვის პროფესიონალების კომპეტენცია სამედიცინო სფეროს უახლესი მიღწევების შესაბამისად, გაუმჯობესოს მათი როგორც კლინიკური უნარები და ცოდნა, ასევე თვითშემეცნება და თვითმოვლის კომპეტენციები; და ხელი შეუწყოს პაციენტის მოვლისა და ჯანდაცვის სერვისების მიწოდების მუდმივ გაუმჯობესებას.

1.4 ინოვაციური და მნიშვნელოვანი კომპეტენციის მქონე კვლევითი ცენტრი.

თსა მოიაზრებს კვლევითი შესაძლებლობების და სამეცნიერო პროდუქტიულობის განვითარებას საკუთარი ინტერნაციონალიზაციის ხედვის ძირითად ნაწილად, რაც თავის მხრივ პირდაპირ პასუხობს ქართული საზოგადოებაში არსებულ ჯანმრთელობის ძირითად გამოწვევებს.
შესაბამისად, თსა ნათლად ხედავს საკუთარი განვითარების სამომავლო შესაძლებლობას კვლევითი საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებასა და ინტერნაციონალიზაციის მუდმივ პროცესში.
აღნიშნული პროცესები საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს თსა-ს დამკვიდრებას საერთაშორისო კვლევით რუკაზე და მის სტრუქტურაში სრულ ინტეგრაციას. უფრო კონკრეტულად კი, თსა-ს მიერ განხორციელებული სადოქტორო პროგრამის ხარისხი შესაძლებლობას უნდა აძლევდეს კურსდამთავრებულებს, სრულფასოვნად ჩაერთონ წამყვანი საერთაშორისო კვლევითი გუნდების საქმიანობაში.

2031 წლისათვის, თსა განახორციელებს საკვანძო მნიშვნელობის კვლევებს და წარმოადგენს სამეცნიერო შედეგებს ინსტიტუციისათვის პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებებით.

1.5 თსა-ს ჩამოყალიბება სამაგალითო სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუციად (ISR/CSR), რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვანი შედეგების მომტან სოციალური ინიციატივებს.

თსა-ში მზარდია სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ მიდგომა, რაც გამოიხატება სტუდენტებისათვის ტრანსფორმაციული გზებით საზოგადოებაში არსებული

გამოწვევების ამოცნობასა და მათ ინტერდისციპლინურ გუნდებში გადაწყვეტის სწავლებაში. ეს პროცესი კი თავის მხრივ მოიცავს კვლევის და სოციალური სერვისების მიდგომების გაძლიერება-გაღრმავებას.

ქართული საზოგადოების შემდგომი განვითარება წინა პლანზე წამოწევს სხვადასხვა სოციალურ და ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა მიმართაც დადებით ზემოქმედებას გეგმავს ისეთი დაწესებულება, როგორიცაა თსა. ამგვარად, თსა მიზნად ისახავს შეცვალოს საზოგადოების ჩართულობა ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების და ადვოკატირების გზით.

მდგრადობასთან დაკავშირებული სირთულეები და მით უფრო კლიმატის კრიზისი მომავალშიც დარჩება საზოგადოების განვითარების მთავარ გამოწვევად. პასუხად, თსა-ში ინსტიტუციური სოციალური პასუხისმგებლობა მოიაზრება, როგორც პირველი რიგის ვალდებულება განვითარდეს და იმოქმედოს, როგორც სამაგალითო ინსტიტუციამ, რაც გულისხმობს საკუთარი წვლილის შეტანას როგორც არსებული მდგომარეობის შემსუბუქებასა და კორექტირებაში, ასევე მდგრადი კოლექტიური ქცევის ხელშეწყობას სტრატეგიული განვითარების მიზნების (SDG) დონეზე მუშაობის გზით.

ამგვარი პასუხისმგებლობის ბირთვს წარმოადგენს თითოეული ქმედების და ინსტიტუციური სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის კონკრეტული გავლენის გაზომვის აუცილებლობა და იმავდროულად თანმიმდევრული მოქმედებების სპექტრის შემუშავება დროის მანძილზე.

2031 წლისათვის თსა-ს სურს თავი წარმოაჩინოს პრიორიტეტული გამოწვევების მიმართულებით აკადემიის საზოგადოების მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობების და მათი ეფექტურობის შეფასების მხრივ.

1.6 ინტერ/ტრანსდისციპლინური სწავლების და თანამშრომლობის ხელშეწყობა

ინტერ- და ტრანსდისციპლინური მიდგომა თსა-ს აქტივობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კვლევა, აკადემიური და სწავლების უმაღლესი ხარისხი, სამედიცინო და ჯანდაცვის საქმიანობა თავის მხრივ მრავალ განზომილებას მოიცავს და ითვალისწინებს ინტერ-/მულტიდისციპლინურ ქმედებებს. სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების ჩართვის და ინტერ-/ტრანსდისციპლინური კვლევების განხორციელების გზით, თსა გეგმავს სასწავლო პროგრამების შემდგომ სიღრმისეულ და გააზრებულ განვითარებას.

2. თსა-ს ხედვა პრიორიტეტული სფეროების მიმართულებით

თსა-ს 2021-2028 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილი სტრატეგიული ხედვა აგებულია **6 ძირითადი და 3 გარდამავალი პრიორიტეტული მიმართულების გარშემო,** რაც თავის მხრივ ასახულია ქვემდებარე პირამიდაში.



6 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება

3 გარდამავალი პრიორიტეტული მიმართულება

1. სტუდენტზე ორიენტირებული გარემო
2. კვალიფიციური ადამიანური რესურსები
3. სწავლების უმაღლესი ხარისხი
4. კვლევის განვითარება
5. ინსტიტუციური კულტურა (ISR/CSR)
6. მდგრადობა და ინსტიტუციური ზრდა

1. ციფრული ტრანსფორმაცია
2. კომუნიკაცია და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა
3. ხარისხის ტრანსფორმაცია

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 1: სტუდენტზე-ორიენტირებული გარემო

<u>პრიორიტეტული მიმართულების მიზანი</u>

სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზნით თსა ხელს უწყობს სტუდენტთა იდეების განხორციელებას, მათ ავტონომიას, კეთილდღეობას და სტუდენტთა შორის პრო-აქტიური თვისებებისა და სწავლის კულტურის ჩამოყალიბებას, ამასთან მხარს უჭერს ინტერნაციონალური გარემოს დამკვიდრებას, ქმნის შემდგომი კარიერული განვითარების და დასაქმების შესაძლებლობებს საერთაშორისო დონეზე და უზრუნველყოფს დინამიკური სტუდენტური ცხოვრების შექმნას.

<u>სტრატეგიული ქმედებების მიმართულებები.</u>

1. სწავლების ხარისხი და სტუდენტური ცხოვრება.

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის, საბიბლიოთეკო და ლაბორატორიული შესაძლებლობების, კლინიკური სწავლების მუდმივი გაუმჯობესება;
- სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება მმართველობით და ინსტიტუციურ პროცესებში;
- თანატოლებს შორის განათლებისა და მხარდაჭერის შესაძლებლობების ხელშეწყობა;
- კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება სტუდენტურ ცხოვრებაში;
- საუნივერსიტეტო ცხოვრების და ინფრასტრუქტურის შემდგომი

განვითარება;
- ინკლუზიური გარემოს შექმნა შშმ სტუდენტებისთვის.

2. "ინტერნაციონალიზაცია სახლში" - Internationalization at home.

- საერთაშორისო სტუდენტების ადგილობრივ სოციუმში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუციებთან პარტნიორობის გაძლიერება სტუდენტებისათვის მობილობის შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით;
- კვლევით აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერა;
- ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების ექსტრაკურიკულურ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა;
- განსხვავებული კულტურული წარმომავლობის სტუდენტებს შორის ინტერკულტურული ურთიერთობის ხელშეწყობა

3. სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმი

- ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა: ჯანსაღი საკვები, ფიზიკური აქტივობა, ბალანსი სწავლასა და დასვენებას შორის;
- ზოგადი კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა;
- სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება ISR/CSR და საზოგადოების კეთილდღეობაზე დაფუძნებულ ინიციატივებში;
- სტუდენტური ინიციატივების განვითარების ხელშეწყობა;
- დასაქმების/კარიერული მხარდაჭერის გაძლიერება;
- ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიების (მაგ. ჩატბოტი) ინტეგრაცია

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 2: კვალიფიციური ადამიანური რესურსები

<u>**პრიორიტეტული მიმართულების მიზანი**</u>

სწავლების პროცესში ჩართულ პერსონალზე ორიენტირებული გარემოს მუდმივი განვითარება, რომელიც ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი გუნდის ჩამოყალიბებას. ამგვარი გარემო უნდა ეყრდნობოდეს პერსონალის თითოეული წევრის პროფესიულ ზრდას, სამუშაო კმაყოფილებას და საერთო კეთილდღეობას, აკადემიურ თავისუფლებას და ჩართულობას კვლევით საქმიანობაში, თანამშრომლობითი გარემოს ხელშეწყობას და საერთო

ღირებულებებზე დაფუძნებულ მმართველობას, რაც თავის მხრივ თსა-ს საშუალებას მისცემს ფეხი აუწყოს ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ტექნოლოგიური მიღწევების სწრაფ ტემპს.

<u>სტრატეგიული ქმედებების მიმართულებები.</u>

1. **მაღალი აკადემიური მოთხოვნები.**
    - საერთაშორისო დონის და გამოცდილების აკადემიური პერსონალის მოზიდვა;
    - სასწავლო კურსების კვალიფიციური განმახორციებლების, განსაკუთრებით კურსდამთავრებულების მოზიდვისა და შენარჩუნების მაჩვენებელთა გაუმჯობესება;
    - სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალისა და სტუდენტთა თანაფარდობის შენარჩუნება;
    - გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის (MPH) და სადოქტორო (PHD) პროგრამების ფარგლებში კვლევების სრულმასშტაბიანი განხორციელება;
    - ერთობლივი ინტერ/ტრანსდისციპლინარული პროგრამების ინიცირება;
    - სწავლების მაღალი ხარისხის შენარჩუნება

2. **აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო გარემო.**
    - ზოგადი კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა;
    - საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების გაფართოება;
    - პროფესიული განვითარების დივერსიფიკაცია;
    - კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების უზრუნველყოფა;
    - კვლევითი პროექტების შემუშავება

3. **ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და ინფრასტრუქტურის განვითარება.**
    - თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების (ვირტუალური სწავლების ასისტენტის) დანერგვა და გამოყენება;
    - ტექნოლოგიურ განვითარებასა და ინოვაციებზე ორიენტირებული ტრენინგების განხორციელება პერსონალისთვის;
    - ტრენინგების განხორციელება ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების (Ethical AI) და ინოვაციების მიმართულებით.

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 3: სწავლების უმაღლესი ხარისხი

<u>პრიორიტეტული მიმართულების მიზანი</u>

მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და გაფართოება სწავლა-სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდების უწყვეტი დანერგვის, თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების ინტეგრაციის და როგორც კვლევაზე ორიენტირებული, ასევე მასზე დაფუძნებული სასწავლო მიდგომის გზით, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს და სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის განათლების სფეროში აღმოცენებულ გლობალურ ცოდნას.

<u>სტრატეგიული ქმედებების მიმართულებები.</u>

1. ინოვაციური სწავლების უმაღლესი ხარისხი

- CIMED-ის მიერ შემუშავებული სტრატეგიების შესაბამისად სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიების უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- უახლესი სასწავლო და კვლევითი რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- თსა-ს კურსდამთავრებულთა წარმატების მაჩვენებელის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- სწავლის მიტოვების დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება პირველი წლის განმავლობაში;
- სტუდენტთა ჯანდაცვის ინდუსტრიაში და კვლევებში დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მათი მხარდაჭერა განათლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების მიმართულებით

2. კლინიკური სწავლების უმაღლესი ხარისხი.

- თსა-ს ამბულატორიული კლინიკის განვითარება;
- კლინიკური ხაზის კონცეფციის სრულმასშტაბიანი დანერგვა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებში;
- „რეალური პაციენტების“ ფონდის გაფართოება და თსა-ს საუკეთესო პრაქტიკის უზრუნველყოფა სტუდენტებისათვის პაციენტებთან კომუნიკაციისა და გამოკვლევის უნარების განვითარებისთვის;
- პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერების ადგილობრივი ცენტრის შემდგომი განვითარება და ხარისხის შეფასება;
- დიპლომისშემდგომი სარეზიდენტო პროგრამების განვითარება

3. მულტი/ინტერდისციპლინური მიდგომა და პროგრამების განვითარება

- სამაგისტრო (MPH) და სადოქტორო (PHD) კვლევების სრულმასშტაბიანი

განხორციელება;

- საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია და ინტეგრირებული პარტნიორობების უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმში ინტერდისციპლინარული მოდულების ინტეგრაცია
- საექთნო სკოლის შექმნა;
- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა და შესაბამისი პროგრამების დანერგვა
- თსა-ს მიერ განხორციელებული მულტი/ინტერდისციპლინარული ხასიათის აქტივობებში კურსდამთავრებულთა ქსელის ჩართულობის გაძლიერება

4. ტექნოლოგიის ინტეგრაცია სწავლების და სწავლის პროცესებში

- საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებში ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენებით განათლების ინტეგრაცია;
- ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი ვირტუალური ლაბორატორიების შექმნა
- ელექტრონული ჯანდაცვის (E-Health) განვითარება

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 4: კვლევის განვითარება

<u>**პრიორიტეტული მიმართულების მიზანი**</u>

როგორც კვლევითი უნივერსიტეტი, თსა-ს აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი აკადემიის კვლევით საქმიანობაში. შესაბამისად, თსა ხელს უწყობს როგორც რესურსების აქტიურ განვითარებას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებში უახლესი სამეცნიერო მონაცემების და კვლევითი მტკიცებულებების ინტეგრაციას, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას და ინტერნაციონალიზაციას. შედეგად, თსა-ს სურს თავი დაიმკვიდროს საერთაშორისო კვლევითი საზოგადოების რუკაზე და სრულად ინტეგრირდეს მის ქსელში, რაც თავის მხრივ თსა-ს საშუალებას მისცემს განახორციელოს საკვანძო მნიშვნელობის კვლევები და წარმოადგენოს სამეცნიერო შედეგები 2031 წლისთვის.

<u>**სტრატეგიული ქმედებების მიმართულებები.**</u>

1. **პერსონალის კარიერული განვითარება**

- კვლევით საქმიანობაში აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაუმჯობესება;
- დაფინანსებული კვლევითი პროექტების რაოდენობის გაზრდა;
- თსა-ს კურსდამთავრებულების (PHD) ჩართვა საკვანძო მნიშვნელობის კვლევებში;
- ინტერდისციპლინარული კვლევითი პროექტების ხელშეწყობა

2. კვლევითი შესაძლებლობების ინტერნაციონალიზაცია.

- ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნა - განხორციელება;
- ინოვაციური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კლასტერული აკრედიტაცია;
- კვლევითი საქმიანობის პარტნიორული კავშირების განვითარება გარე დაფინანსების შესაძლებლობების დივერსიფიცირების მიზნით;
- საერთაშორისო მობილობის და გაცვლითი შესაძლებლობების გაძლიერება

3. ინფრასტრუქტურის და რესურსების განვითარება

- კვლევაში ჩართული პირების სტრუქტურირებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის მუდმივი შეფასება;
- სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება კვლევით საქმიანობასა და სამეცნიერო კონფერენციებში;
- თსა-ს საგრანტო დაფინანსების სქემების დივერსიფიკაცია;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება.

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 5: ინსტიტუციური კულტურა და ISR/CSR

<u>**პრიორიტეტული მიმართულების მიზანი**</u>

ინსტიტუციური კულტურა და ISR/CSR ხელს უწყობს თსა-ს განვითარებას როგორც შიდასაუნივერსიტეტო დონეზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ და წარმოაჩენს აკადემიას, როგორც თვალსაჩინო ინსტიტუციას, რომელიც მიისწრაფვის მდგრადი კოლექტიური ქცევის დამკვიდრებისაკენ არსებული სტანდარტების გაუმჯობესებასა და კორექტირების ხელშეწყობის გზით. თსა-ს ინსტიტუციური კულტურის სტრატეგია თავის მხრივ აგებულია ისეთი საკვანძო ასპექტების გარშემო, როგორიცაა სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერება, სწავლების და კვლევის უმაღლესი ხარისხი, აკადემიური თავისუფლება, ინსტიტუციური და სოციალური პასუხისმგებლობა (ISR/CSR)

და საზოგადოებრივი ჩართულობის ინიციატივები. თსა მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების კუთხით და 2031 წლისათვის დაიმკვიდროს თავი, როგორც სამაგალითო ინსტიტუციამ, ძირითადი პრიორიტეტული გამოწვევების საპასუხოდ აკადემიის საზოგადოების მიერ განხორციელებული აქტივობების და მათი კონკრეტული გავლენის შეფასების წარდგენის გზით.

<u>სტრატეგიული ქმედებების მიმართულებები.</u>

1. **შედეგზე ორიენტირებული CSR / ISR აქტივობების შემდგომი განვითარება**
    - შედეგზე ორიენტირებული CSR/ISR აქტივობების რაოდენობის ზრდა;
    - კოლექტიური ცნობიერების და ჩართულობის უზრუნველყოფა;
    - შედეგის შეფასება;
    - მიზანმიმართული საზოგადოებრივი ჩართულობა;
    - დასაქმების და განვითარების შესაძლებლობების განვითარება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის;
    - კურსდამთავრებულთა ქსელის ჩართულობის გაძლიერება ISR/CSR აქტივობებში,

2. **ინსტიტუციური მდგრადობის განვითარება და სანიმუშო ოპერირება**
    - მწვანე ტრანსფორმაციის გაუმჯობესება და ინსტიტუციურ გარემოში მდგრადი პრაქტიკის დანერგვა;
    - კურსდამთავრებულების, აკადემიის საქმიანობაში ჩართული დაინტერესებული მხარეების, პარტნიორი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქსელების გავლენის შეფასება-გაძლიერება

3. **მომავალი ლიდერი / ინსტიტუციური კულტურა / ცხოვრების მანძილზე უწყვეტი სწავლა**
    - ცხოვრების მანძილზე უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების და შესაბამისი აქტივობების შეთავაზება;
    - სტუდენტებს შორის ლიდერული უნარების განვითარება და შემდგომი გაძლიერება;
    - სტუდენტებს შორის ეთიკური და თვით-რეფლექსიაზე დაფუძნებული უნარების განვითარების ხელშეწყობა

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 6: მდგრადობა და ინსტიტუციური ზრდა

<u>პრიორიტეტული მიმართულების მიზანი</u>

თსა-ს საოპერაციო და ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საუკეთესო ხარისხის აკადემიურ და კვლევით პრაქტიკაში ინვესტირების გზით და უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობების ინიციატივების გაძლიერებით საგანმანათლებლო და კვლევითი მიმართულებებით.

<u>სტრატეგიული ქმედებების მიმართულებები.</u>

1. **თსა-ს მიმზიდველობის გაზრდა**
    - სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა და ადგილობრივი სტუდენტების მოზიდვის გაძლიერება;
    - მომავალი კურსდამთავრებულებისთვის დასაქმების შესაძლებლობების შემდგომი განვითარება (საჯარო-კერძო პარტნიორობა და ა.შ.);
    - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების უზრუნველყოფა განურჩევლად სქესისა;
    - საბიბლიოთეკო რესურსების მუდმივი განახლება და გაძლიერება;
    - თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების და AI ინსტრუმენტების ინტეგრირება სასწავლო რესურსებში;
    - აკადემიის საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარება;

2. **თსა-ს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაცია**
    - უცხოელი სტუდენტების გეოგრაფიული არეალის გაფართოება;
    - თსა-ს მიერ მინიჭებული საგანმანათლებლო ხარისხის მზარდი რაოდენობის ქვეყნებში აღიარების უზრუნველყოფა;
    - უცხოელი სტუდენტების მიზნობრივი ჩარიცხვის სტრატეგიის და საერთაშორისო დონეზე აკადემიის ცნობადობის გაზრდის სტრატეგიის შემუშავება-განხორციელება;
    - ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზება

3. **თსა-ს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის ინტერნაციონალიზაცია**
    - უცხოელი აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების რაოდენობის გაზრდა;
    - საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებში აქტიურად მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა;

- თსა-სთან სიღრმისეული და ყოვლისმომცველი პარტნიორული პროგრამებით დაკავშირებული უცხოური უნივერსიტეტების ქსელის მუდმივი განვითარება;

4. **კლინიკური სწავლების გაუმჯობესება**
    - თსა-ს ამბულატორიული კლინიკის სრულმასშტაბიანი ოპერირების უზრუნველყოფა;
    - სტუდენტებსა და პაციენტებს შორის ინტერაქციის შესაძლებლობების ხელშეწყობა
    - ზოგადი პროფილის ექიმებისათვის განათლების უზრუნველყოფა, რათა მათ შეძლონ სწავლების და კვლევის ინტეგრაცია და ხელი შეუწყონ სტუდენტების ინტეგრაციას მათ სამომავლო პროფესიულ ვალდებულებებთან და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობასთან.

5. **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება**
    - პარტნიორ (ინდუსტრიული პარტნიორები საზოგადოებაში) ინსტიტუციებთან კონსორციუმების ჩამოყალიბება და ხელშეკრულებების გაფორმება, არსებული გამოწვევების განსაზღვრის და მათი ინტერდისციპლინური გზებით გადაწყვეტის შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით;
    - სამაგისტრო (MPH) და სადოქტორო (PhD) პროგრამების შემდგომი განვითარება;
    - საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
    - საექთნო სკოლის შექმნა და განვითარება;
    - საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია;
    - სტუდენტების და პერსონალის ინოვაციური კომპეტენციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მათ შორის: სისტემური აზროვნების, ინტერპერსონალური, ნორმატიული, სტრატეგიული და ლიდერული კომპეტენციების განვითარების უზრუნველყოფის გზით

გარდამავალი პრიორიტეტული მიმართულება 1: ციფრული ტრანსფორმაცია

<u>**მიმართულების მიზანი:**</u>

უზრუნველყოს თსა-ს აქტივების, ელექტრონული ინსტრუმენტების და კომუნიკაციის შემდგომი დაცულობა და უსაფრთხოება, ხელი შეუწყოს სწავლების და კვლევის პროცესების უმაღლესი ხარისხით განხორციელებას თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის გზით და მხარი დაუჭიროს აკადემიური პროცესების უმაღლეს

დონეზე განხორციელებას შესაბამისი ტრენინგების დანერგვის და განხორციელების საშუალებით..

<u>სტრატეგიული ქმედებების მიმართულებები.</u>

1. **სწავლების და სწავლის პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა**
   - თსა-ს მედიცინის (MD) და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო (MPH) პროგრამების განხორციელება ჰიბრიდული სახით როგორც დასწრებული, ასევე დისტანციური ფორმით და შერეული სასწავლო კურსების დანერგვა;
   - ვირტუალური საკონსულტაციო სერვისების შემუშავება და როგორც კარიერული კონსულტაციების, ასევე თანატოლებს შორის სწავლების ონლაინ პლატფორმების დანერგვა;
   - სწავლის უწყვეტობის და ადაპტაციის უზრუნველყოფა: ინფორმაციის მუდმივი სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით AI სისტემების მუდმივი ადაპტაცია;
   - ჩატბოტების დანერგვა სტუდენტთათვის მხარდაჭერის და რუტინულ კითხვებზე სწრაფი უკუკავშირის უზრუნველყოფის მიზნით;
   - ელექტრონული ჯანდაცვის ინტეგრაცია;
   - ვირტუალური სასწავლო რესურსების შემდგომი განვითარება

2. **კიბერ უსაფრთხოება და კომუნიკაციის სტრატეგიის მხარდაჭერა**
   - კიბერუსაფრთხოების ზომების სრულმასშტაბიანი იმპლემენტაცია, სენსიტიური მონაცემების დაცულობის უზრუნველყოფის და კიბერ საფრთხეების პრევენციის მიზნით;
   - კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლება აკადემიის პერსონალსა და სტუდენტებს შორის;
   - შიდა და გარე კომუნიკაციის სტრატეგიის ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიების, მათი დაცულობის და მხარდაჭერის ჩარჩოს შემუშავება-დანერგვა

3. **ორგანიზაციის სტრუქტურის და საქმიანობის შემდგომი დიგიტალიზაცია**
   - ადმინისტრაციული და ინფორმაციული მიმოცვლის პროცესების ციფრული ფორმატით წარმართვის გაუმჯობესება;
   - კვლევითი თანამშრომლობების პლატფორმების აქტიურად დანერგვა და გამოყენება ინტერდისციპლინური თანამშრომლობის და მონაცემთა მიმოცვლის უზრუნველყოფისთვის;
   - ციფრულ ბიბლიოთეკებზე, სამეცნიერო-კვლევით მონაცემთა ბაზებზე და მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტებზე წვდომის შემდგომი განვითარება თსა-ს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისა და მკვლევარებისთვის.

გარდამავალი პრიორიტეტული მიმართულება 2: კომუნიკაცია და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

<u>მიმართულების მიზანი:</u>

თსა-ს სანდო საგანმანათლებლო, კვლევითი ინსტიტუტისა და ძლიერი ინსტიტუციური კულტურის მქონე ორგანიზაციად პოზიციონირება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მოქმედ საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის.
ეფექტური საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების გზით.

<u>სტრატეგიული ქმედებების მიმართულებები</u>

1. **თსა-ს განვითარების გზის ხელშეწყობა**
    - თსა-ს ინტეგრირებული კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება მედიის, სოციალური მედიის და/ან თსა-ს ვებ-გვერდის მეშვეობით;
    - თსა-ს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ წამყვან სამედიცინო სკოლად პოზიციონირება;
    - საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება საჯარო და კერძო სექტორის პოტენციურ პარტნიორებთან აკადემიური და კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერის და პარტნიორული ქსელის ფორმალიზაციის მხრივ;
    - შიდა საკომუნიკაციო სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების შემუშავება და მათი დანერგვა
    - თსა-ს პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ

2. **თსა-ში სტუდენტთა ჩარიცხვის შესაძლებლობების ხელშეწყობა**
    - როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დაინტერესებული მხარეებს შორის თსა-ს მიმართ ცნობიერების ამაღლება;
    - მიზნობრივი კომუნიკაციისა და მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება უცხოური სამიზნე ჯგუფებისათვის;
    - ინოვაციური ტაქტიკური სვლების განსაზღვრა და მათი განხორციელება სტუდენტთა ჩარიცხვის მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით.

3. **ტრანს-დეპარტამენტული კომუნიკაციის მხარდაჭერა**
    - სხვადასხვა დეპარტამენტს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა შესაბამისი სტრატეგიის განვითარების და დანერგვის გზით;

- სხვადასხვა დეპარტამენტის კომუნიკაციის სტრატეგიების განხორციელება ინტეგრაციის მიზნით;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან მიზნობრივი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე მის ფარგლებს გარეთ
- ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება ISR სტრატეგიის განხორციელების მიზნით

გარდამავალი პრიორიტეტული მიმართულება 3: ხარისხის ტრანსფორმაცია

<u>მიმართულების მიზანი:</u>

თსა-ს საქმიანობის ყველა სექტორში (სწავლა-სწავლების, კვლევისა და ISR/CSR მიმართულებით) და თითოეულ დონეზე (ინდივიდუალურ, სათემო და საზოგადოებრივ) ხარისხის გაუმჯობესების სამომავლო სისტემის დანერგვა და უწყვეტი და ეფექტური გაუმჯობესების პროცესის უზრუნველყოფა.

<u>სტრატეგიული ქმედებების მიმართულებები</u>

1. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის უწყვეტი განვითარება**
    - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და ინსტრუმენტების ეფექტურობის შეფასება;
    - ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ავტომატიზაციის გაძლიერება;
    - ხარისხის კულტურის გაძლიერება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის;
    - PDCA ციკლის გაძლიერება ინსტიტუციური ფუნქციონირების თითოეულ დონეზე;
    - თანატოლებს შორის პერიოდული შეფასების და მათი აუდიტის ხელშეწყობა

2. **ხარისხის სამომავლო გაუმჯობესების სისტემები**
    - სწავლების, კვლევისა და ISR/CSR საქმიანობის ინდივიდუალურ, სათემო და საზოგადოების დონეზე შეფასების მიზნით;
    - განხორციელებული აქტივობების გავლენის შეფასება;
    - ხარისხის სამომავლო გაუმჯობესების სისტემების და ინსტრუმენტებს შექმნა-იმპლემენტაცია

3. **დანერგილი ტექნოლოგიების ხარისხის უზრუნველყოფა**
    - ხარისხის შეფასებაზე მიმართული პროცესების დანერგვა.